

საქართველოს მოსაპირკეთებელი ქვები

ოთარი ყვავილაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე გეოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ავთანდილ ოქროსცვარიძე, გეოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ოთარი ყვავილაშვილი

18.06.2016

აბსტრაქტი

სამაგისტრო თემის კვლევის ობიექტს წარმოადგენს, საქართველოში არსებული მოსაპირკეთებელი ქვები, მათი ხარისხის შესწავლა და მათი პოტენციალი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მაგმურ და მეტამორფულ ქანებს უკავია, რომელთა არც თუ ისე მცირე გამოსავლები საუკეთესო ხარისხის მოსაპირკეთებელ მასალას წარმოადგენს. სახელმწიფო ბალანსზე აღრიცხული მინერალური ნედლეულის რესურსებში მოსაპირკეთებელი ქვები პირველ ადგილზეა. მის წილად მოდის მინერალური ნედლეულის ეკონომიკური პოტენციალის 20.77 %.

ამჟამად, საქართველოს ბაზარი გაჯერებულია უცხოეთიდან შემოსული ქვის პროდუქციით. მიუხედავად იმისა რომ ყველა ეს მასალა დიდი რაოდენობით მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში და ზოგიერთი მათგანი თავისი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით ჯობნის კიდევ შემოტანილ პროდუქციას, დღემდე რიგი მიზეზების გამო ვერ ხერხდება მათი დამუშავება.

მოსაპირკეთებელი მასალის მოპოვების თვალსაზრისით თავდაპირველად ეკონომიკურად ყველაზე უფრო პერსპექტიულად მიგვაჩნია: ძირულის კრისტალური მასივის ფარგლებში არსებული კალიშპატიანი გაბრო, კვარციანი დიორიტები და მარმარილო, ზემო სვანეთში ახლახან გამოვლინებული ნაცრისფერი და მოთეთრო-რძისფერი გრანიტები, ასევე სამოცდაათიანი წლებიდან გახმაურებული ზემო რაჭის გიგანტური მარაგისა და ნაირგვარი სახეობის მაგმური და მეტამორფული ქანების მორენული ქვები.

Abstract

Master thesis research objects are paving stones existing in Georgia, the study of their quality and their potential for the country's economy.

The big part of Georgia's territory is occupied by magmatic and metamorphic rocks, which are not small outcrops of the best quality paving materials. Paving stones are in the first place according to accounting for the state balance of the mineral resources of raw materials. It accounts for 20.77% of the economic potential of mineral raw materials.

Currently, the market of Georgia is full of stone products from abroad. Despite the fact that all of these materials are available in large quantities in our country and some of them even are better with their physical and technical properties than imported products, it is still impossible to process them because of the number of reasons.

Facing the paving materials in terms of accessing initially economically most forward to: existing gabbro, quartz diorities and marble within the crystalline massif of Dzirula, recently resulting in gray and whitish-milky granites in Upper Svaneti, also famous giant stocks of Upper Racha and various species of magmatic and moranul stones of metamorphic rocks since seventies.